პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 5

ქ.თბილისი 29.08.2014

სხდომას ესწრებოდნენ:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ქეთევან ჯაყელი - სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
საბა სარიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი (Chemonics International), საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლიანა ზამბახიძე - საჯარო სამართლის კორპორაციის - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს სხდომის მდივანი;
მაია ჩიხლაძე - ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის პრეზიდენტი; შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას დირექტორის მოადგილე;
მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;
მარიკა შიოშვილი - კომპონენტთა შორის პროექტების და დევნილთა საბინაო საკითხების ჯგუფის ხელმძღვანელი (NORC (North Opinion Research Center) at the University of Chicago) პროექტი ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები (USAID/NEO);
ნიკოლოზ ჩაჩხიანი - პროფესიული განათლების ექსპერტი (Delloitte).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ელენე ჯიბლაძე - ცენტრის დირექტორი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის სასწავლო მასალების კოორდინატორი;
გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ აფრასიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ნინო გაგელიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამთა კობახიძე - ავტორიზაციის სამსახურის სპეციალისტი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ელგუჯა გაბრიჭიძე - სსიპ პროფესიულ კოლეჯ ,,თეთნულდის" დირექტორის მოადგილე;
2. თეონა ჯაფარიძე- სსიპ პროფესიულ კოლეჯ ,,თეთნულდის" ხარისხის მენეჯერი;
3. გიორგი გოგიტიძე - სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ბლექსის დირექტორი;
4. მაია თოიძე - სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ბლექსის ხარისხის სამსახურის წარმომადგენელი;
5. თამარ მანია - სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ლაკადას ხარისხის მენეჯერი;
6. რამაზ გაგოშაშვილი - სსიპ - პროფესიულ კოლეჯ მოდუსის დირექტორი;
7. მათე ტაკიძე - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ სპექტრის დირექტორი;
8. ვარლამ ავალიშვილი - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ სპექტრის წარმომადგენელი;
9. ეკატერინე მაძღარაშვილი - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ სპექტრის წარმომადგენელი;
10. მარიამ ფირცხალავა - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ სპექტრის წარმომადგენელი;

11.ნონა ღუდუშაური - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ მერმისის დირექტორი;
12.დავით უგულავა - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ მერმისის დირექტორის მოადგილე;
13.მაია დანელია - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ მერმისის სასწავლო პროცესის მენეჯერი;
14.ნანა ნამგალაური - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ მერმისის ხარისხის მენეჯერი;
15.ნანა ჯოლია - ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ჰორიზონტის დირექტორი;
16.რუსუდან ჩართოლანი - ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ იკაროსის დირექტორი;
17.ლია ვაშაგაშვილი - ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ იკაროსის პროფორიენტაციის მენეჯერი;
18.ხათუნა დოლიძე - ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ იკაროსის ხარისხის მართვის მენეჯერი;
19.ლალი პაპუნაშვილი - ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ იკაროსის ფინანსური მენეჯერი;
20.ლევან უსანეთაშვილი - ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ იკაროსის სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი;
21.ოთარ დაბრუნდაშვილი - ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ განთიადის დირექტორი;
22.ლელა სამხარაძე - ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ განთიადის ხარისხის მართვის მენეჯერი;
23.ნინო ბაკურაძე - სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ფაზისის დირექტორი;
24. ბელა ავალიშვილი - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ოპიზარის დირექტორი;
25.ნათელა აგოფაშვილი - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ოპიზარის დირექტორის მოადგილე;
26.გურამ ხაზალაშვილი - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ოპიზარის მატერიალური რესურსების კოორდინატორი;
27.ფრიდონ ბუაძე - სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ერქვანის დირექტორი;
28.დარეჯან ჭელიძე - სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ერქვანის ხარისხის მართვის მენეჯერი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ელენე გვენცაძე;
თეა ლილუაშვილი;
მაყვალა დარსანია;
შორენა ჯაფარიძე;
თეა შაყულაშვილი;
დარეჯან ლოსაბერიძე;
ნატალია ბარათელი;
ეკატერინე გიგაშვილი;
ნონა ზუმბაძე;
მაია თოიძე;
მარინა გოგოლაძე;
თამარ რემიშვილი;
პეტრე ბაბილუა;
ეკა ლუაშვილი.

ცენტრის დირექტორი, ელენე ჯიბლაძე, მიესალმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო ავტორიზაციის საბჭოს ახალი შემადგენლობა. ელენე ჯიბლაძემ აღნიშნა, რომ საბჭოს თავმჯდომარის ქეთევან ჯაყელის კანდიდატურა შეირჩა წინა საბჭოს შემადგენლობიდან, სადაც ასევე ასრულებდა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ჯაყელმა, მადლობა გადაუხადა ცენტრის ხელმძღვანელობას და იმედი გამოთქვა, რომ საბჭოს ახალი შემადგენლობა იმუშავებდა ნაყოფიერად და მათი გადაწყვეტილებები ხელს შეუწყობდა ქვეყანაში პროფესიული განათლების განვითარებას.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 12:15 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ თეთნულდის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ბლექსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ლაკადას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ფაზისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ოპიზარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ერქვანის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ მოდუსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ სპექტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ მერმისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ჰორიზონტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
12. ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ იკაროსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
13. ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ განთიადის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
14. ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ პრესტიჟის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შაუმდგომლობა არ ყოფილა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის ფორმატთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ განსახილველი საკითხების სიმრავლიდან გამომდინარე, საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ თითოეულ საკითხზე მოხდებოდა ექსპერტის შეფასებისა და დაინტერესებული მხარის პოზიციის მოსმენა, ასევე საბჭოს წევრების მხრიდან საკითხებთან დაკავშირებით დაისმებოდა კონკრეტული კითხვები და მოსმენილი იქნებოდა პასუხები. ყოველი სამი-ოთხი საკითხის განხილვის შემდგომ, ქეთევან ჯაყელმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრები გადაწყვეტილების მისაღებად გავიდოდნენ სათათბირო ოთახში, რის შემდგომაც, სხდომაზე თითოეულ საკითხთან დაკავშირებით გაიმართებოდა კენჭისყრა და მოხდებოდა გადაწყვეტილების გამოცხადება. საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, აღნიშნული მექანიზმი ხელს შეუწყობდა დროის ეფექტურად გამოყენებას. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს აღნიშნული მოსაზრება.

1. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „თეთნულდის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა კოლეჯის დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ელენე გვენცაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ დაწესებულების მიმართ ექსპერტთა დასკვნა მთლიანობაში იყო დადებითი, თუმცა იყო რამოდენიმე საკითხი, რომელიც საჭიროებდა დაზუსტებას. ელენე გვენცაძემ საბჭოს წევრებს გააცნო დასკვნაში არსებული ფაქტობრივი გარემოებები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1. ექსპერტთა ვიზიტის დროს ადმინისტრაციამ წარმოადგინა ახსნა-განმარტება თვითშეფასების კითხვარში ბუღალტრის III საფეხურის პროგრამის გამორჩენის თაობაზე. ადგილზე გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამა ნამდვილად არსებობდა, თუმცა ტექნიკურად იყო გამორჩენილი თვითშეფასების კითხვარში. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული პროგრამა.

1.2. ასევე, ვიზიტის დროს ცვლილება შევიდა შემდუღებლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციაში და ეს უკანასკნელი ჩამოყალიბდა როგორც - „შემდუღებლის (ელექტრორკალური) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია“.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას სარგებლობის უფლებით ერთ მისამართზე ჰქონდა შენობა-ნაგებობა (668 მ²) განაშენიანების ფართით 690 მ², და ორი დამატებითი ნაგებობა - სახელოსნო და სტუდენტური საცხოვრებელი, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ სასწავლო მიზნებისთვის არ იქნა ჩათვლილი, რადგან ორივე მათგანი იყო ავარიულ მდგომარეობაში. ელენე გვენცაძემ განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი კონტიგენტთან მიმართებაში დაწესებულებას არ უქმნიდა შეფერხებას. დაწესებულებას ჰქონდა შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტი.

2.2 ვიზიტის დროს სსსმ სტუდენტებისთვის არ იყო მოწყობილი პანდუსი, თუმცა ასევე გააჩნდათ პროექტი, რაც ექსპერტთა ჯგუფმა დანართის სახით წარმოადგინა. პროექტში კონკრეტული ვადები მითითებული არ იყო, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, სასწავლო პროცესის დაწყებამდე აღნიშნული სამუშაოები იქნებოდა დასრულებული.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, საბჭოს წევრი საბა სარიშვილი დაინტერესდა, რამდენად იყო ადაპტირებული შენობა შიგნიდან. აღნიშნულთან დაკავშირებით, ელენე გვენცაძემ განმარტა, რომ განსახილველი დაწესებულება წარმოადგენდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და მათზე არ იყო დამოკიდებული აღნიშნული საკითხის უზრუნველყოფა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოცემულ საკითზე არსებობდა პროექტი და გამოცხადებული იყო შესაბამისი ტენდერი.

საბჭოს წევრი, ლიანა ზამბახიძე დაინტერესდა, მოესწრებოდა თუ არა ზემოაღნიშნული საკითხების მოგვარება სასწავლო წლის დაწყებამდე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე დარჩენილი იყო დაახლოებით ერთი თვე, რაც მისი აზრით, იყო საკმარისი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, იყო თუ არა დაწესებულების ფართი საკმარისი სასწავლო პროცესის სრულყოფილად განხორციელებისთვის და რისი გაკეთება იგეგმებოდა რეაბილიტირებულ ახალ შენობებში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ავარიული შენობების შეკეთება ერთ თვეში ვერ მოესწრებოდა, თუმცა არსებული ბაზა სავსებით საკმარისი იყო იმ რაოდენობის კონტინგენტისთვის, რაც დაწესებულებას ჰქონდა გათვალისწინებული.

ელენე გვენცაძემ დამატებით აღნიშნა, რომ პროფესიული სტუდენტების ერთი ნაკადი დეკემბერში ამთავრებდა სწავლას. ექსპერტმა საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ რეაბილიტირებულ ახალ შენობებში იგეგმებოდა სახელოსნოების მოწყობა საწარმოო პრაქტიკისთვის.

პრაქტიკის უზრუნველსაყოფად, კოლეჯს დამატებით შემდეგი მემორანდუმები ჰქონდა გაფორმებული: მზარეული - შპს სასტუმრო „ვილა მესტია"; შპს სასტუმრო „ძველი სეტი"; შემდუღებელი - ინდ. მეწარმე - მაიზერ ბერძენაძე; სასტუმრო საქმის მწარმოებელი - ინდ. მეწარმე - ლეილა ჯაფარიძე; დურგალი, კალატოზი - შპს „თაუერსი"; გიდი - მესტიის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი; ბუღალტერი - ლაზიკა კაპიტალი. ელენე გვენცაძემ აღნიშნა, რომ ამ დაწესებულებებიდან შერჩევითი პრონციპით გადამოწმდა შპს "თაუერსი", შპს „ძველი სეტი". ასევე დაწესებულებაში მოწყობილია მინი სასტუმრო სასწავლო პრაქტიკისათვის. დაწესებულებას აქვს ასევე სადურგლო სახელოსნო. ექსპერტმა აღნიშნა, რომ გიდები საქმდებიან მესტიის მუზეუმში. ბუღალტერიის პროგრამის სტუდენტებისათვის გარკვეული პერიოდი თავად დაწესებულება უზრუნველყოფდა პრაქტიკას, საწარმოო პრაქტიკას კი ლაზიკა კაპიტალი.

საბჭოს წევრი ნიკოლოზ ჩაჩხიანი დაინტერესდა, შემდუღებლისა და დურგლის პროფესიისთვის განკუთვნილი მატერიალური ბაზა იყო თუ არა განცალკევებული. ავტორიზაციის ექსპერტმა განაცხადა, რომ მათთვის ფართი ცალ-ცალკე იყო გამოყოფილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ წარმოედგინა პანდუსების დამონტაჟების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან ფოტომასალა, ასევე, დაწესებულებას ეთხოვა დაეზუსტებინა მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა. დაწესებულებამ პანდუსების დამონტაჟებასთან დაკავშირებით წარმოადგინა ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ შედგენილი პროექტი და სატენდერო დოკუმენტაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლეჯში პანდუსების დამონტაჟება 6 სექტემბრამდე დასრულდებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროფესიული პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 170-ით.

ავტორიზაციის ექსპერტმა გაიზიარა დაწესებულების პოზიცია და აღნიშნა, რომ კოლეჯს პროფესიული პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 170 პროფესიული სტუდენტისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, დაწესებულებისთვის ავტორიზაციის მინიჭების შესახებ, საბჭოს წევრებმა მიიჩნიეს, რომ ცენტრმა ერთი თვის ვადაში უნდა განახორციელოს მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „თეთნულდში" და გადაამოწმოს მატერიალური რესურსის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან. აღნიშნული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, საბჭო იმსჯელებდა დაწესებულებისთვის ავტორიზაციის

გაუქმების შესახებ. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლეჯში ერთი თვის განმავლობაში დასრულდებოდა სარემონტო სამუშაოები და დაწესებულება უზრუნველყოფილი იქნებოდა სტანდარტებთან შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „თეთნულდის" ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 170-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „თეთნულდს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 235891512) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (პროფესიული კოლეჯი) სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 170-ით.

2. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ბლექსის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თეა შაყულაშვილმა. ექსპერტმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დაწესებულება აჭარის რეგიონში მდებარეობდა და ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში გეგმავდა 20 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას, ასევე მილევად რეჟიმში დაწესებულება ახორციელებდა 6 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. თეა შაყულაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში არსებითი ხასიათის შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

თეა შაყულაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში დაფიქსირდა მხოლოდ ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, რაც დაწესებულების მხრიდან ვიზიტის პერიოდშივე იყო გამოსწორებული. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითქმის ყველა პროგრამას ჰქონდა პრაქტიკის განხორციელების შესაძლებლობა თავად დაწესებულებაში. გარდა ამისა, საწარმოო პრაქტიკის განსახორციელებლად გაფორმებული იყო მემორანდუმები სხვადასხვა დაწესებულებასთან. თეა შაყულაშვილმა აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსი სრულად შეესაბამებოდა ავტორიზაციის სტანდარტებს.

საბჭოს წევრის, მაია ჩიხლაძის თხოვნით ექსპერტმა საბჭოს წევრებს წარუდგინა ის შენიშვნები, რაც ადგილზე იქნა დაწესებულების მხრიდან გამოსწორებული. თეა შაყულაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა აღნიშნული შენიშვნები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების ჩამონათვალში დასახელებული იყო „ინტერპერსონალური ურთიერთობები“, სილაბუსის მიხედვით კი კურსის სახელწოდება იყო: „ინტერპერსონალური კომუნიკაცია“;

1.2 სილაბუსში „კალკულაცია,ხარჯთაღრიცხვა“ გაწერილი საათების გრაფებზე არ იყო მითითებული რომელი აქტივობისათვის იყო საათები გათვალისწინებული;

1.3 ზოგიერთ სილაბუსში დამოუკიდებელ სააათებში გაწერილი იყო შუალედური/დასკვნითი გამოცდების მომზადებისათვის, მაგალითად: „მზადება შუალედური გამოცდისათვის- 4 საათი, მზადება დასკვნითი გამოცდისათვის - 4 საათი“; ზოგან კი გაწერილი იყო სწორად, თემატიკასთან შესაბამისობაში (მაგ: სასტუმრო საქმის მწარმოებელი);

1.4 „მონაცემთა ბაზის მართვის“ სილაბუსში შუალედური/დასკვნითი და დამოუკიდებელი მუშაობის საათები არასწორად იყო დაფიქსირებული;

1.5 ამავე პროგრამის სასწავლო კურსების ჩამონათვალში მითითებული იყო „ტექნიკური ინგლისური“ და კურსის დასახელება სილაბუსის მიხედვით - „ინგლისური ენა“;

1.6 საწარმოო პრაქტიკის რამდენიმე სილაბუსში ჩასაშლელი იყო სწავლის შედეგები; პროგრამაში გაწერილი იყო კომპეტენციები, სილაბუსებში კი არ იყო გაწერილი აღნიშნული შედეგის აღწერილობა.

თეა შაყულაშვილმა დამატებით განმარტა, რომ ზემოაღნიშნული უზუსტობები გამოსწორდა ვიზიტის მიმდინარეობისას.

მე-5 პუნქტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეცდომა ინგლისურ ენასთან დაკავშირებით ტექნიკური ხასიათის იყო. თავდაპირველად ერქვა ტექნიკური ინგლისური, ხოლო პროგრამაში სასწავლო კურსების ჩამონათვალში - მითითებული იყო ინგლისური ენა, თუმცა კიდევ ჰქონდათ საკონტაქტო საათების ცხრილი, სადაც ტექნიკური ინგლისური ეწერა.

მე-6 პუნქტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ შედეგში სწორად იყო გაწერილი, მხოლოდ ერთ დოკუმენტში იყო ტექნიკურად დარჩენილი ძველი სახელწოდებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამები და სილაბუსები მათ მოამზადეს ახალი სარეკომენდაციო ფორმის მიხედვით, სადაც თითოეული შედეგის გასწვრივ იწერებოდა, თუ რომელი კურსის ხარჯზე გადიოდა ამ შედეგზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ სწორედ ამ პრინციპით იხელმძღვანელეს, ვინაიდან პროგრამებით საკმაოდ მრავალი შედეგი იყო გაწერილი. შესაბამისად, ამიტომ არ იყო თითოეულ სილაბუსში სწავლის შედეგების აღწერილობა.

საბჭოს წევრმა მამია ჯანჯალიამ აღნიშნა, რომ ვინაიდან დაწესებულებამ მოცემული უზუსტობა გამოასწორა ვიზიტის მიმდინარეობისას, მისი აზრით, აღნიშნული არ წარმოადგენდა ხარვეზს. მოცემული მოსაზრება გაიზიარე საბჭოს სხვა წევრებმაც.

ექსპერტმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დასკვნაში მემფილე-მომპირკეთებლის მესამე საფეხურის პროგრამის კრედიტების რაოდენობაში, ნაცვლად 45 კრედიტისა მითითებული იყო 35. ასევე ავტომობილის სავალი ნაწილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროგრამაში ნაცვლად 60 კრედიტისა მითითებული იყო - 50 კრედიტი. თეა შაყულაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტებმა შეამოწმეს 45 და 60 კრედიტიანი პროგრამები და დასკვნაში მოხდა ტექნიკური შეცდომა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროფესიული პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 600-ით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამჟამად ბაზაში კოლეჯს უფიქსირდებოდა 349 პროფესიული სტუდენტი, ოქტომბრის თვეში კი როდესაც მოხდებოდა ახალი პროფესიული სტუდენტების მიღება, ამ რიცხვს დაემატებოდა 215 ადგილი. თეა შაყულაშვილმა აღნიშნა, რომ როდესაც მილევად რეჟიმში არსებულ პროფესიულ პროგრამებზე მორჩებოდა სასწავლო პროცესი, დაწესებულებას აქტიური პროფესიული სტუდენტი დარჩებოდა 300.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭსყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ბლექსის“ ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,ბლექსის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 245610398) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (პროფესიული კოლეჯი) სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600-ით.

3. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ლაკადას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შორენა ჯაფარიძემ და აღნიშნა, რომ დასკვნა იყო დადებითი. ექსპერტმა განმარტა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული იყო მხოლოდ რამდენიმე უზუსტობა. შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ თვით პროფესიულ სტანდარტშიც იყო გარკვეული შეუსაბამობები დაშვებული. შორენა ჯაფარიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა დასკვნაში არსებული უზუსტობები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 ელექტრიკოსის პროფესიული სტანდარტის სწავლის უნარის ნაწილში მითითებულია, რომ სტუდენტს „შეუძლია თითოეული სწავლების და საწარმოო პრაქტიკის პერიოდში მიწოდებული მასალის, როგორც პროფესორისა და ინჟინერ-ენერგეტიკოსის ხელმძღვანელობით შესწავლა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით“. აღნიშნული მოთხოვნა „კოპირებული“ სახით არის გადმოტანილი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილ ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში. თუმცა შესაბამისი დოკუმენტების გადამოწმებით დადგინდა, რომ სტანდარტში წარმოდგენილია პროფესიული განათლების სფეროსთვის შეუსაბამო მოთხოვნა „პროფესორის“ შესახებ, მიუხედავად მისი პროგრამაში ასახვისა, პრაქტიკულად არ განხორციელებულა. აღნიშნული შეუსაბამობის გამოსწორების მიზნით, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დირექტორის 2014 წლის 13 აგვისტოს N92 ბრძანების თანახმად, ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მოთხოვნა „პროფესორისა და ინჟინერ ენერგეტიკოსის“ შესახებ, შეიცვალა „პროფესიული მასწავლებლით“.

1.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გადამოწმებისას ექსპერტებმა დააფიქსირეს შემდეგი ტექნიკური ხასიათის უზუსტობები:

1.2.1 „ელექტრიკოსის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში (პუნქტი 8.6) წარმოდგენილია შეფასების ცხრილი, რომელშიც მოცემულია სწავლის შედეგები, შეფასების კრიტერიუმები და შეფასების მეთოდები. ცხრილში მოცემულ მე-5 და მე-6 სწავლის შედეგებისათვის მითითებულია შეფასების მეთოდი - „საწარმოო პრაქტიკა“. აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მე-7 პუნქტის თანახმად, „საწარმოო პრაქტიკა“ წარმოადგენს „პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (დატვირთვას)“ და არა შეფასების მეთოდს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ელექტრიკოსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში და კოლეჯის მიერ წარმოდგენილ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში მსგავსი ტიპის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები სწორად არის ფორმულირებული, კერძოდ: პრაქტიკული სავარჯიშო, სიტუაციური ამოცანა, დემონსტრირება/დაკვირვება. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში აღნიშნული უზუსტობა შესწორებულ იქნა დირექტორის 2014 წლის 13 აგვისტოს N92 ბრძანებით.

1.2.2 ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო გეგმა ცხრილის სახით არის წარმოდგენილი. სასწავლო გეგმა მოიცავს ზოგადი და სპეციალური სასწავლო კურსების ჩამონათვალს შესაბამისი კრედიტებისა და საათების მიმართ. საათები შემდეგ სვეტებშია გადანაწილებული - „ლექცია/პრაქტიკული, სასწავლო პრაქტიკა, საწარმოო პრაქტიკა, საწარმოო პრაქტიკა შუალედური/დასკვნითი შეფასება, დამოუკიდებელი საათები, სულ საათების რაოდენობა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სვეტს აქვს საერთო დასათაურება - „საკონტაქტო საათები" მაშინ, როდესაც „დამოუკიდებელი საათები" საკონტაქტო საათების რიცხვს არ მიეკუთვნება. თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სხვა დოკუმენტში, მათ შორის სილაბუსში, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები მკაცრად არის გამიჯნული. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში აღნიშნული უზუსტობა შესწორებულ იქნა დირექტორის 2014 წლის 13 აგვისტოს N92 ბრძანებით.

1.2.3 ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მე-9 პუნქტში წარმოდგენილია ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებისათვის აუცილებები ადამიანური რესურსების შესახებ, თუმცა „ადამიანური რესურსების" ნამდვილად გამოყენებულია ტერმინი - „ადმინისტრაციული რესურსები", რაც ასევე ტექნიკური ხასიათის უზუსტობად იყო მიჩნეული და ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში შესწორებულ იქნა დირექტორის 2014 წლის 13 აგვისტოს N92 ბრძანებით.

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ მოცემული შენიშვნები სასწავლო პროცესზე არ იმოქმედებდა. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ მიუხედავად ამისა, მაინც აესახათ ისინი დასკვნაში. ექსპერტმა საბჭოს წევრებს ასევე მოახსენა, რომ რიგ დოკუმენტებში „ადამიანური რესურსების" ნაცვლად მითითებული იყო „ადმინისტრაციული რესურსები". შესაბამისად, შორენა ჯაფარიძემ განმარტა, რომ მისი აზრით, ყოველივე ზემოაღნიშნული იყო არა შენიშვნები, არამედ ტექნიკური უზუსტობები.

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული იყო მხოლოდ ერთი შენიშვნა, რომელიც ეხებოდა ერთ-ერთ პროფესიულ მასწავლებელს, რომელსაც არ უდასტურდებოდა მედდის კვალიფიკაცია, თუმცა ჰქონდა სანიტრად მუშაობის გამოცდილება. შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ვიზიტის დროსვე განუმარტა მასწავლებელს მოცემული გარემოება და შეუწყვიტეს შრომითი ხელშეკრულება.

დაწესებულება საბჭოზე წარმოადგინა აღნიშნული საგნის მასწავლებლად აყვანილი ახალი პედაგოგის პირადი საქმე და შრომითი ხელშეკრულება. დოკუმენტაციის ადგილზე გადამოწმების შედეგად, შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ხარვეზი გამოსწორებული იყო. შორენა ჯაფარიძემ ასევე აღნიშნა, რომ პრაქტიკის განსახორციელებლად დაწესებულებას სათანადო მემორანდუმები ჰქონდა გაფორმებული სხვადასხვა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების მიერ მოთხოვნილი კონტინგენტის რაოდენობით და არსებული ფართით. შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების საერთო ფართი შეადგენდა 1440 მ^2.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროფესიული პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 150-ით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ნატალია ბარათელმა, განმარტა, რომ კოლეჯს თავისუფლად შეეძლო მიეღო 150 პროფესიული სტუდენტი, ვინაიდან დაწესებულება რეგიონზე აკეთებს გათვლას.

საბჭოს წევრი საბა სარიშვილი დაინტერესდა პედაგოგების კვალიფიკაციით. შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამებოდა ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს, გარდა ერთი შემთხვევისა, რაც ზემოთაც იყო უკვე განხილული. ცენტრის თანამშრომელმა ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ დასკვნაში მოცემული ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა იყო მოქმედი, ასევე დასკვნაში მოცემული იყო მილევად რეჟიმში არსებული პროფესიული პროგრამები, რომლებზეც დაწესებულება აღარ აპირებდა პროფესიული სტუდენტების მიღებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭსყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,ლაკადას“ ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,ლაკადას“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 242728679) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (პროფესიული კოლეჯი) სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.

4. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ფაზისის" ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრმა შორენა ჯაფარიძემ, რომელმაც საბჭოს მოახსენა, რომ დაწესებულების სამანქანე განყოფილების მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ იქნა ასახული თვითშეფასების კითხვარში, თუმცა წარმოდგენილ იქნა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში და სათანადო წერილიც გაიგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრშიც (MES 9 14 00584710).

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს მნიშვნელოვანი შეუსაბამობები არ გამოუვლენია. კერძოდ, პროგრამების და სილაბუსების გადამოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი ხარვეზები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 დურგლის პროფესიული სტანდარტის (040952) შესაბამისად, დურგლის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებულს „ენიჭება დურგლის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია", დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება შემდეგნაირად არის ფორმულირებული - „დურგლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია", რაც სრულ შესაბამისობაშია პროფესიული განათლების სფეროში მიღებულ მისანიჭებელი კვალიფიკაციების დასახელებებთან, თუმცა არ შეესაბამება პროფესიულ სტანდარტში წარმოდგენილ კვალიფიკაციის დასახელებას;

1.2 საბაჟო დეკლარირების სპეციალისტის პროფესიული სტანდარტით (020352) დადგენილია, რომ საბაჟო დეკლარირების სპეციალისტის პროფესიული განათლება არის ერთსაფეხურიანი (მეორე საფეხური), ხოლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება საბაჟო დეკლარირების სპეციალისტის პროფესიული კვალიფიკაცია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისი პროგრამის დასახელებაა „საბაჟო დეკლარირების სპეციალისტი (სასაქონლო დეკლარირების სპეციალისტი)". აღნიშნული უზუსტობა გამოსწორებულ იქნა ექსპერტთა ვიზიტის დროს დირექტორის 2014 წლის 16 აგვისტოს ბრძანების (MES 7 14 00584727) საფუძველზე;

1.3 ელექტრიკოსის პროფესიული სტანდარტის (040557) სწავლის უნარის ნაწილში მითითებულია, რომ - სტუდენტს „შეუძლია თეორიული სწავლების და საწარმოო პრაქტიკის პერიოდში მიწოდებული მასალის როგორც პროფესორისა და ინჟინერ-ენერგეტიკოსის ხელმძღვანელობით შესწავლა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით". აღნიშნული მოთხოვნა „კოპირებული" სახით არის გადმოტანილი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში. თუმცა შესაბამისი დოკუმენტების გადამოწმებით დადგინდა, რომ სტანდარტში წარმოდგენილია პროფესიული განათლების სფეროსთვის შეუსაბამო მოთხოვნა „პროფესორის" შესახებ , მიუხედავად მისი პროგრამაში ასახვისა, პრაქტიკულად არ განხორციელებულა. აღნიშნული შეუსაბამობის გამოსწორების მიზნით, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დირექტორის 2014

წლის 16 აგვისტოს ბრძანების (MES 8 14 00584746) თანახმად, ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მოთხოვნა „პროფესორისა და ინჟინერ-ენერგეტიკოსისის“ შესახებ, შეიცვალა „პროფესიული მასწავლებლით“;

1.4 „სამანქანე განყოფილების მეზღვაურის“ მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის წარმოდგენილი „სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა“, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია არსებობს ვებგვერდზე განთავსებულ კატალოგში. აღნიშნული უზუსტობა გამოსწორებულ იქნა ექსპერტთა ვიზიტის დროს დირექტორის 2014 წლის 16 აგვისტოს ბრძანების (MES 8 14 00584746) ბრძანების საფუძველზე;

1.5 ექსპერტების აზრით, პროგრამებში წარმოდგენილ სწავლის შედეგების რუკის შევსებისას დაშვებულია უზუსტობები, კერძოდ: სწავლის შედეგების რუკაზე არ არის დაფიქსირებული ყველა ის კომპეტენცია, რომელსაც სტუდენტი შეიძენს ამა თუ იმ სასწავლო კურსის გავლის შედეგად, ასე მაგალითად, „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის“ III საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკაზე „რუსული ენისთვის“ არ არის დაფიქსირებული „ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი“ მაშინ, როდესაც შესაბამისი სილაბუსის მიზანში და შედეგში აღნიშნული კომპეტენცია არის დაფიქსირებული; ასევე, „საბაჟო წარმომადგენელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „საწარმოო პრაქტიკისთვის“ არ არის მონიშნული არცერთი კომპეტენცია, თუმცა შესაბამის სილაბუსში სწავლის შედეგები დაწვრილებით არის გაწერილი ისეთი კომპეტენციების მიხედვით, როგორიცაა: ღირებულებები, სწავლის უნარი, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ განაცხადა, რომ, მიუხედავად ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხარვეზების უმნიშვნელოდ შეფასებისა, აღნიშნულთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულება გააჩნდა. კერძოდ, მისი თქმით, რუსული ენის სილაბუსში გაწერილ კომპეტენციებში არ იყო გათვალისწინებული კომუნიკაციის უნარის განვითარება. ამასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა, რეალურად, გადიოდა აღნიშნულ კომპეტენციაზე და ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული გარემოების არსებით ხარვეზად დაფიქსირება მიზანშეწონილად არ ჩათვალა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ დადგენილი სტანდარტებით მოქმედების აუცილებლობაზე გააკეთა მითითება და აღნიშნა, რომ მსგავსი შემთხვევების თავიდან არიდების მიზნით, რეგულაციები დახვეწას საჭიროებდა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელემა, პროფესიული პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 600-ით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების ფართს შეადგენდა 2500კვ.მ და კოლეჯში დასაქმებული იყო 34 მასწავლებელი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო აღნიშნული რაოდენობის პროფესიული სტუდენტის მიღება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭსყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ფაზისის“ ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,ფაზისს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 215101716) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (პროფესიული კოლეჯი) სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600-ით.

13:40 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 14:30 საათზე.

5. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს წარუდგინა კოლეჯის დირექტორის მიერ გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ეკატერინე გიგაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს გამოვლენილი ტექნიკური უზუსტობები ადგილზევე გასწორდა, სტანდარტებთან შეუსაბამობა კი არ დაფიქსირებულა.

ეკატერინე გიგაშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტმა ჯგუფმა დაადგინა შემდეგი ხასიათის ტექნიკური ხარვეზები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 დურგლის პროფესიული სტანდარტის (040952) შესაბამისად, დურგლის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებულს „ენიჭება დურგლის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია“, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება შემდეგნაირად არის ფორმულირებული - „დურგლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია“, რაც სრულ შესაბამისობაშია პროფესიული განათლების სფეროში მიღებულ მისანიჭებელი კვალიფიკაციების დასახელებებთან.

1.2 ელექტრიკოსის პროფესიული სტანდარტის (040557) სწავლის უნარის ნაწილში მითითებულია, რომ - სტუდენტს „შეუძლია თეორიული სწავლების და საწარმოო პრაქტიკის პერიოდში მიწოდებული მასალის, როგორც პროფესორისა და ინჟინერ-ენერგეტიკოსის ხელმძღვანელობით შესწავლა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით“. აღნიშნული მოთხოვნა არ არის გადმოტანილი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში. შესაბამისი დოკუმენტების გადამოწმებით დადგინდა, რომ სტანდარტში წარმოდგენილი პროფესიული განათლების სფეროსთვის შეუსაბამო მოთხოვნა „პროფესორის“ შესახებ, კოლეჯში არ განხორციელებულა და საწარმოო პრაქტიკას ხელმძღვანელობს ინჟინერ-ენერგეტიკოსი.

1.3 ზოგიერთი პროფესიული პროგრამის სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსის დასახელება არ ემთხვევა შესაბამის სილაბუსში მითითებულ დასახელებას. დაშვებულია ტექნიკური უზუსტობები, რომელიც ვიზიტის დროს დაწესებულებამ გაასწორა. მაგალითისთვის: სასურსათო პროდუქტების წარმოების ტექნო-ქიმიური კონტროლი (ტექნო-ქიმიური კონტროლი); ტრაქტორებისა და სასოფლო სამეურნეო მანქანების ტექნიკური მომსახურება და რემონტი (ტექნკური მომსახურება და რემონტი).

1.4 ეკატერინე გიგაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საპილოტე რეჟიმში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ვიზიტის დროს დეტალურად იქნა შესწავლილი და დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდანაც კონკრეტული და კომპეტენტური განმარტებები იქნა მიღებული. ექსპერტის თქმით, მოდულურ პროგრამაში სასწავლო გეგმა არ იყო

წარმოდგენილი, გაწერილი იყო თეორიული და პრაქტიკული კომპონენტები. სილაბუსების დეტალური გადამოწმების შედეგად დადასტურდა, რომ საათების დეტალური განაწილება ყველა სილაბუსში იყო ასახული.

ავტორიზაციის ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულება ახორციელებდა 21 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლებიც აკმაყოფილებდნენ ავტორიზაციის დებულებით გათვალისწინებულ სტანდარტებს.

ეკატერინე გიგაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე გაეცნო პრაქტიკის ობიექტებსაც, სადაც კოლეჯის კურსდამთავრებულები იყვნენ დასაქმებულები. ექსპერტის თქმით, ხარვეზები არც აღნიშნული კუთხით გამოვლენილა.

ავტორიზაციის ექსპერტმა ექსპერტმა, ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებობდა თანამშრომლობითი გარემო და კოლეჯს გააჩნდა სათანადო დონის მატერიალური რესურსი. ეკატერინე გიგაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ვიზიტის პერიოდში დაწესებულებაში 167 პროფესიული სტუდენტი ირიცხებოდა და დასაქმებული იყო 50 პროფესიული პედაგოგი. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ კოლეჯს უფიქსირდებოდა 685 ერთეული მერხი და 5000 კვ.მ-მდე მიწის ფართობი. დაწესებულების წარმომადგენელმას მადლობა გადაუხადა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს კომპეტენტურად შესრულებული საქმიანობისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროფესიული პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 800-ით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების შენობა-ნაგებობათა ფართობით. ექსპერტმა განმარტა, რომ ამჟამად არსებული შენობების საერთო ფართობი შეადგენდა - 4000 კვ.მ-მდე, საიდანაც 1800 კვ.მ-მდე გამოიყენებოდა მხოლოდ საკლასო და აუდიტორიული სივრცეებისთვის, რასაც ასევე ემატებოდა სახელოსნოები. დაწესებულებაში იყო სასწავლო ლაბორატორიები და სასწავლო კაბინეტებიც, რაც საერთო ჯამში 4000 კვ.მ-მდე ფართობს მოიცავდა.

საკითხის განხილვის პროცესში საბჭოს თავმჯდომარემ ზოგადად მიმართა ავტორიზაციის ექსპერტებს, რომ საკითხების წარდგენისას, მაქსიმალურად უზრუნველყოთ თავი შეეკავებინათ დაწესებულების დაცვისგან, რათა დაწესებულების წარმომადგენლებს თავად მისცემოდათ საშუალება თავისუფლად და სრულყოფილად დაეფიქისრებინათ თავიანთი პოზიცია.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წევრები მიესალმებოდნენ მოდულარულ სისტემას და საბჭოს თხოვნა იყო, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კოლეჯს გაეზიარებინა საბჭოსთვის პირველი ანგარიშის შედეგები და გამოცდილება.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, რამდენ ცვლაში აპირებდნენ სასწავლო პროცესის განხორციელებას, რადგან 685 მერხი 800 სტუდენტის ერთდროულად მომსახურებისთვის არ იყო საკმარისი. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ფართი იძლეოდა პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის საშუალებას. ავტორიზაციის ექსპერტი დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას და აღნიშნა, რომ კოლეჯს ჰყავდა საკმარისი რაოდენობის მასწავლებლები, რათა სათანადო გარემო შეექმნა აღნიშნული რაოდენობის პროფესიული სტუდენტებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ გაიზიარა დაწესებულების პოზიცია და აღნიშნა, რომ კოლეჯს პროფესიული პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 800 პროფესიული სტუდენტისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭსყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ოპიზარის“ ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ოპიზარს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 224066980) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (საზოგადოებრივი კოლეჯი) სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით.

6. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ერქვანის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა მაყვალა დარსანიამ. ავტორიზაციის ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს ხარვეზები არ გამოუვლენია და დაწესებულების მიმართ არანაირი შენიშვნა არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი პროგრამის განხორციელება სურდა კოლეჯს. აღნიშნულ კითხვაზე ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულება სულ 6 პროფესიულ პროგრამას ახორციელებდა: ტრაქტორისტ-მემანქანის (მე-3 საფეხური), ბუღალტრის (მე-3 საფეხური), ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტის (წვრილცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველებისა და თევზების და სხვა), იუველირის (მე-3 საფეხური), მემინანქრის (მე-3 საფეხური) და მეღვინის (მე-3 საფეხური).

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა დაწესებულების მიერ გაფორმებული მემორანდუმები და ადგილზე გაეცნო ბაზებს. მისივე თქმით, კოლეჯში იყო სასწავლო კაბინეტები და ლაბორატორიები. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ იმ პროფესიული სტუდენტების ნამუშევრებსაც, რომლებიც საწარმოო პრაქტიკას ინდივიდუალურ მეწარმესთან ახორციელებენ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, როგორ უზრუნველყოფდა დაწესებულება ტრაქტორისტის პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს საწარმოო პრაქტიკით. დაწესებულების დირექტორმა საბჭოს განუცხადა, რომ დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე მემორანდუმი გაფორმებული ჰქონდა - შპს მექანიზატორთან, რომელიც პროფესიულ სტუდენტებს უზრუნველყოფდა შესაბამისი პრაქტიკით.

მაყვალა დარსანიამ განაცხადა, რომ პედაგოგთა კვალიფიკაცია შეესაბამებოდა დადგენილ სტანდარტებს და შრომითი ხელშეკრულებებიც სათანადო წესით იყო გაფორმებული.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად იყო მოწესრიგებული დაწესებულებაში უსაფრთხოების საკითხები. ავტორიზაციის ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობას ახალ შენობაში ახორციელებდა, რომელიც ავტორიზაციის ყველა დადგენილ სტანდარტს აკმაყოფილებდა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რით იყო გამოწვეული დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტების მცირე რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროფესიული სტუდენტების რაოდენობის სიმცირე გამოწვეული იყო იმით, რომ ამბროლაურსა და მიმდებარე სოფლებს შორის პროფესიული სტუდენტების ტრანსპორტირება საკმაოდ რთული იყო, რის გამოც დაწესებულება პროფესიული სტუდენტების მეტ რაოდენობაზე ვერ გადიოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მოახსენა, რომ აღნიშნული საკითხის აღმოფხვრის მიზნით, კოლეჯი საერთო საცხოვრებლის აშენებას გეგმავდა, რის თაობაზეც

გაკეთდა მიმართვა სახელმწიფოსადმი და დაწესებულება იყო ახალი შენობის მშენებლობის მოლოდინში.

საბჭოს წევრი, ლიანა ზამბახიძე დაწესებულების მფლობელობაში არსებული ფართით დაინტერესდა. დაწესებულების დირექტორის თქმით, დაწესებულების სასწავლო ფართი 5000 კვ.მ-მდე ფართობს მოიცავდა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროფესიული პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 105-ით.

საბჭოს წევრი, მაია ჩიხლაძე დაინტერესდა, როდის ასრულებდნენ სწავლას დაწესებულებაში ამჟამად მყოფი პროფესიული სტუდენტები, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლის მიერ განემარტა, რომ გაზაფხულის პერიოდში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები სწავლას მარტის თვეში დაასრულებდნენ. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ახალი მიღების განხორციელებას დაწესებულება მხოლოდ ვეტერინარის პროფესიულ პროგრამაზე გეგმავდა და სულ 15 პროფესიული სტრუდენტის მიღება იყო დაგეგმილი. დაწესებულების დირექტორის განცხადებით, იმის გამო, რომ დაწესებულების ხუთივე აუდიტორია იყო დაკავებული, კოლეჯი პროფესიული სტუდენტების მეტი რაოდენობით მიღებას ვერ განახორციელებდა.

საბჭოს წევრმა, მამია ჯანჯალიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო საგანმანათლებლო პროცესი ორ ცვლაში წარემართა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ვერც აღნიშნული მოხერხდებოდა, რადგან საგანმანათლებლო პროცესი სრულდებოდა 16:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე დაიტერესდა, სულ მცირე რამდენი სტუდენტი შეიძლებოდა ერთ ჯგუფში ყოფილიყო. დირექტორის განმარტებით, აღნიშნული მინიმუმი იყო 5 პროფესიულ სტუდენტი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თუ სამომავლოდ მოხდებოდა ფართის დამატება და ზემოაღნიშნული პრობლემების მოგვარება, დაწესებულება აუცილებლად გაიზრდიდა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა რეკომენდაციით, რომ პიარის კუთხით უფრო გააქტიურებულიყვნენ და ინფრასტრუქტურაც სრულად აეთვისებინათ, რათა გაძლიერებულიყო პროფესიულ სტუდენტთა დატვირთვა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭსყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,ერქვანის" ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 105-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,ერქვანს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 222934671) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (პროფესიული კოლეჯი) სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 105-ით.

7. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა თამარ რემიშვილმა, რომელმაც ყურადღება გაამახვილა შემდეგ შენიშვნებსა და ფაქტობრივი გარემოებებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1. ექსპერტთა ვიზიტის დროს, დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილი პროგრამები შეესაბამებოდა პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროგრამებში განსაზღვრულია დასახელება, პროგრამის განხორციელების სამართლებრივი საფუძველი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დაშვების წინაპირობა, პროგრამის მიზანი და შედეგები, სწავლების შედეგების რუქა, დასაქმების სფერო, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა, ცოდნის შეფასების სისტემა, სწავლების მეთოდები, პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი ადამიაური და მატერიალური რესურსი, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. პროგრამებს თან ერთვის სასწავლო კურსების სილაბუსები, რომელთა შედეგების ერთობლიობაც იძლევა პროგრამის საბოლოო შედეგებზე გასვლისა და მიზნის მიღწევის შესაძლებლობას მაგრამ გვხვდება გარკვეული ხარვეზები, კერძოდ:

1.1 წარმოდგენილ პროგრამებში არის ჩანაწერი: “ყოველი სასწავლო კურსით დაგეგმილ ფინალურ/დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სასწავლო კურსის მიმდინარე შეფასებებში, დადებითი ქულების რაოდენობით უკვე დაგროვებული აქვს სულ ცოტა 11 დადებითი ქულა, ხოლო დანარჩენს შეავსებს ფინალური/საბოლოო გამოცდის დროს. ნებისმიერი ინსტრუმენტით შეფასებისას დადგენილია, შეფასების მინიმალური ზღვარი 51%, რაც 100 ქულიანი შეფასების სისტემის ძირითადი არსია.“უფლებამოსილ პირთან ინტერვიუირების შედეგად გაირკვა, რომ დაწესებულებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №121/ნ 2010 წლის 10 დეკემბერი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ, აღქმული აქვს ისე, რომ ნებისმიერი ინსტრუმენტით შეფასებისას მინიმალური ზღვარია 51%.

1.2 სასწავლო კურსის სილაბუსში „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ ძირითად ლიტერატურაში მითითებულია ელექტრო ვერსია-INTERNET, ხოლო დამატებით ლიტერატურაში-/ინტერნეტი/,მაგრამ არ არის მითითებული წყაროები და ვებ-გვერდების მისამართები.

1.3 საწარმოო პრაქტიკის სასწავლო კურსის სილაბუსში ზეპირი პრეზენტაცია ფასდება 5 ქულით, შეფასების კრიტერიუმები ჩაშლილია შემდეგნაირად:

- კითხვა ადეკვატურად აღიქვა- 5 ქულა,
- კითხვა სწორად აღიქვა- 4 ქულა,
- კითხვა არაადეკვატურად აღიქვა- 3 ქულა.

აღნიშნული კრიტერიუმები ერთია არსით და განსხვავდება ქულით, რაც არასწორია.

1.4 სასწავლო კურსის: მასალათმცოდნება, სამკერვალო მანქნები და მოწყობილობები, ტანსაცმლის კონსტ-რუირების თეორიული საფუძვლები, ტანსაცმლის მოდელირების თეორიული საფუძვლები, ტანსაცმლის კერვის ტექნოლოგიის თეორიული საფუძვლები, ტანსაცმლის მოდელირება, დაშვების წინაპირობაში მითითებული აქვს საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - რაც პროგრამაზე და არა სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობაა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა იყო თუ არა აღნიშნული შენიშვნები ვიზიტის მსვლელობისას გასწორებული. ექსპერტმა განმარტა, რომ სილაბუსები ჩასწორებული იყო, მაგრამ პროგრამებში დარჩენილი იყო ძველი ჩანაწერები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნაზი სიხარულიძემ მოიყვანა უცხო ენის პროფესიული პროგრამის მაგალითი, სადაც პრეზენტაციას აქვს ქულების განსაზღვრული რაოდენობა და გათვალისწინებულია დამოუკიდებელი სამუშაო. მან აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტი არ გამოცხადდება პირველივე შუალედურ შეფასებაზე და საშუალება არ ექნება შემდეგ გამოცდაზე გასვლის, მას გარიცხვა ემუქრება, სწორედ ამის თავიდან ასაცილებლად დააწესეს მინიმალური ზღვარი.

საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ მსგავს რეგულაციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 121/ნ ბრძანება არ იცნობდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მთელმა კოლექტივმა დამოუკიდებლად შეიმუშავა შეფასების წესი, რაც არ ეწინააღმდეგებოდა ბრძანებას. საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ჯაყელმა განაცხადა, რომ აღნიშნული ბრძანება ყველასთვის იყო სავალდებულო და ნებისმიერ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ემოქმედა საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად.

ექსპერტმა თამარ რემიშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს, დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნული შენიშვნა გაასწორეს მხოლოდ სილაბუსებში, თუმცა პროგრამების ძირითად ნაწილში არ იყო შესწორებული. დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ კოლეჯი ეყრდნობოდა მოქმედ ნორმატიულ აქტებს.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, ეთანხმბოდა თუ არა დაწესებულების წარმომადგენლის პოზიციას. თამარ რემიშვილმა განაცხადა, რომ კოლეჯის წარმომადგენლის განმარტება ეწინააღმდეგებოდა 121-ე ბრძანებას. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა ასევე საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ.

დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა მათ მოსაზრებას და განმარტა, რომ დაწესებულება იყენებდა შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს და მისი აზრით, ეს კანონმდებლობის დარღვევა კი არა, უფრო მეტი ძალისხმევის გაწევა იყო.

მაია ჩიხლაძემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, რომ მათ არასწორად ჰქონდათ გააზრებული მინისტრის ბრძანება და ამ ჩანაწერით ვერ გავიდოდნენ შედეგებზე. ნაზი სიხარულიძემ განაცხადა, რომ მათ არ ჰქონდათ მკაცრად განსაზღვრული, რომ თითოეული სტუდენტი ასე უნდა შეფასებულიყო, არამედ გულისხმობდნენ, რომ ყველა შეფასებაში უნდა დაეგროვებინათ 11 ქულა. მაია ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი იყო, თუ რა მაქსიმალური ქულით ფასდებოდა ესა თუ ის სტუდენტი და როგორ იყო ჩაშლილი შეფასების 100-ქულიანი სისტემა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ორ შუალედურში გათვალისწინებული იყო 25-25 ქულა, საშინაო დავალება - 10 ქულა და ამით დგებოდა 60 ქულა. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ჰქონდათ თუ არა განსაზღვრული მინიმალური დადებითი შეფასების ქულა. ნაზი სიხარულიძემ უპასუხა, რომ არ ჰქონდათ დადგენილი მინიმალური დადებითი ქულის ოდენობა.

მაია ჩიხლაძე დაინტერესდა საწარმოო პრაქტიკის სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული ზეპირი პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმებით, რასაც 5 ქულა ჰქონდა

განკუთვნილი. მან იკითხა, როგორ იყო ჩაშლილი ეს 5 ქულა და რატომ ჰქონდათ ექსპერტებს მოყვანილი მაგალითად ამ კურსის სილაბუსი. ავტორიზაციის ექსპერტმა დასმულ შეკითხვას უპასუხა, რომ ამის მიზეზი იყო ის, რომ მათი აზრით, კრიტერიუმები არ იყო კარგად ჩამოყალიბებული და ინტერვიურების შედეგად, საჭიროდ ჩათვალეს ამის აღნიშვნა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ ჰქონდა დაწესებულებას შეფასებების სისტემა დოკუმენტურად გაწერილი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი მთლიანად მასწავლებლებზე იყო დამოკიდებული.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, აეხსნა, რა შემთხვევაში იღებდა სტუდენტი 5 ქულას. ნაზი სიხარულიძემ უპასუხა, რომ მთლიანი ქულების რაოდენობის ჩაშლა იყო აუცილებელი და თავმჯდომარეს განუცხადა, რომ წარადგენდა რანჟირების სისტემას. საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, მისთვის გაუგებარი იყო თუ რა შემთხვევაში იწერებოდა 1 ან 2 ქულა, რადგან რუბრიკა 3 ქულამდე იყო გაწერილი. დაწესებულების წარმომადგენელმა ამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მათ ჰქონდათ უფლება, მინიმალური ზღვარი დაეწესებინათ და ეს ზღვარი შეადგენდა 3 ქულას, 1 და 2 ქულას არ მიიჩნევდნენ დადებით კოეფიციენტად.

საბჭოს წევრმა მაია ჩიხლაძემ უკმაყოფილება გამოთქვა შეფასების სისტემასთან დაკავშირებით და პროგრამის შედეგზე გასვლა ეჭვქვეშ დააყენა. მან განაცხადა, რომ სახეზე იყო სტანდარტთან შეუსაბამობა. თამარ რემიშვილმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ შენიშვნების გარკვეული ნაწილი არ იყო გასწორებული და დარჩა ძველ ფორმატში.

ექსპერტმა, პეტრე ბაბილუამ მატერიალურ რესურსზე ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ რეესტრს ჰქონდა დაშვებული ტექნიკური ხარვეზი, რაც შემდეგ გამოსწორდა. პეტრე ბაბილუამ განაცხადა, რომ მათ დათვალეს სასწავლო დანიშნულებით გამოყენებული ფართი, ინვენტარი და ეს ნაწილი სტანდარტს შეესაბამებოდა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა მერხებისა და სკამების რაოდენობით. ექსპერტმა უპასუხა, რომ კოლეჯის ბალანსზე 749 მერხი იყო ასახული, რომელთაგან ნაწილი იყო დასაწყობებული.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, იყო თუ არა საკმარისი ფართი მერხების განთავსებისთვის. კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ ფართი არ იყო გარემონტებული და არც ბიუჯეტში არ იყო გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ჯაყელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებობდა გარკვეული პრობლემები. მან გაიხსენა, რომ კოლეჯს წინა წელსაც ჰქონდა მსგავსი პრობლემები და გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი შეცდომები განმეორდა, საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას მიენიჭებოდა ავტორიზაცია იმ პირობით, რომ 5 სამუშაო დღის ვადაში აღმოფხვრიდნენ აღნიშნულ პრობლემებს და წარმოადგენდნენ შესაბამის დოკუმენტაციას. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრს, რომ მომხდარიყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის ხელახალი გადამოწმება და საბჭოსთვის შედეგების წარდგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დადგებოდა დაწესებულებისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროფესიული პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 800-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ კონტიგენტის მიღებისთვის მატერიალური რესურსი არ იყო საკმარისი, რადგან დაწესებულებას გააჩნდა 412 სასწავლო სკამი და სივრცე იყო სრულად ათვისებული. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს რაოდენობა დგებოდა ჯგუფების მიხედვით, მაგრამ

საშემოდგომო მიღების შემდგომ სტუდენტების ნაწილი წავიდა. მან ასევე აღნიშნა, რომ ინვენტარი 749 სტუდენტზე ყოფნიდათ, უბრალოდ ნაწილი დასაწყობებული იყო.

საბჭოს წევრმა, ლიანა ზამბახიძემ განაცხადა, რომ 800 სტუდენტის მიღება მაინც შეუძლებელი იქნებოდა თუ არ დაამატებდნენ მერხების რაოდენობას. საბჭოს წევრმა, მამია ჯანჯალიამ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა კითხვითა, თუ შეძლებდნენ 800 სტუდენტის მიღებას ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ერთ ცვლაში ვერ შეძლებდნენ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი სურვილი იყო სწავლება განეხორციელებინათ ორ ცვლაში.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდა კოლეჯი. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მიმდინარე წელს 250 სტუდენტის მიღებას აპირებდა, ხოლო უკვე მიღებული სტუდენტების რაოდენობა შეადგენდა 550-ს.

საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთი მოთხოვნა გააჟღერა დაწესებულების მიმართ, რაც ასევე 5 დღის ვადაში უნდა გამოსწორებულიყო, კერძოდ - არსებული ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, დაწესებულებამ ცენტრში უნდა წარმოადგინოს დეტალური გეგმა ორ ცვლაზე 800 სტუდენტის გადანაწილების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა, დოკუმენტურად დაზუსტებულიყო ინფრასტრუქტურისა და ინვენტარის შესაბამისობა კონტინგენტთან მიმართებით, ამ შემთხვევაში საბჭოსთვის უფრო ნათელი იქნებოდა ის კრიტერიუმები, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა კონტიგენტის განსაზღვრის დროს. სხდომაზე საბჭოს წევრების მხრიდან ასევე გაჟღერდა ინიციატივა, რომ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას, გათვალისწინებული ყოფილიყო დაწესებულების მაქსიმალური შესაძლებლობა, რათა სახელმწიფო დანახარჯებს ჰყოლოდა მეტი ბენეფიციარი და ეს მომხდარიყო გონივრულობის ფარგლებში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭსყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,მოდუსის" ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,მოდუსს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 216350829) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (პროფესიული კოლეჯი) სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით.

8. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ეკატერინე გიგაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ კოლეჯი 29 პროფესიული პროგრამიდან 22-ს მილევად რეჟიმში ახორციელებდა. ექსპერტების მოსაზრებით, სტანდარტები დაკმაყოფილებული იყო და დაფიქსირდა მხოლოდ რამდენიმე ტექნიკური შენიშვნა, რაც ადგილზევე გასწორდა. ეკატერინე გიგაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა დაფიქისრებული ტექნიკური შენიშვნები და ფაქტობრივი გარემოებები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 წარმოდგენილია დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის 29 ახალი და 22 მილევად რეჟიმში არსებული პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა.

თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულია საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური, განსაზღვრულია მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაციები, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობები, სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების რუკა, სასწავლო გეგმა, სწავლებისა და შეფასების მეთოდები და ფორმები, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები, არის ინფორმაცია პრაქტიკის მოცულობის თაობაზე, რომელიც ყველა პროგრამაში შეესაბამება სტანდარტით დადგენილს, პროგრამის სწავლის შედეგები ზოგ შემთხვევაში ზუსტად კოპირებულია სტანდარტიდან, ზოგ შემთხვევაში კი არის გარკვეული ინტერპრეტაციები/გავრცობები, რაც სტანდარტის შედეგებს არ ცვლის;

პროგრამებს აქვთ თანმიმდევრული სტრუქტურა: პროფესიულ სტანდარტებში ასახული სწავლის შედეგები ზოგადად თანხვედრაშია პროგრამებში და შესაბამის სილაბუსებში გაწერილ სწავლის შედეგებთან. ასევე ამ შედეგების მიღწევის და შეფასების მეთოდები გაწერილია. პროგრამები შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, როგორც პროგრამებში, ასევე სილაბუსებში ჩამოთვლილია სწავლისა და სწავლების მეთოდები (სილაბუსებში განმარტებულია თითოეული მეთოდი), სილაბუსებში მითითებულია: პროგრამის დასახელება, კურსის სახელწოდება, კურსის მოცულობა, სწავლების ენა, კურსის განმახორციელებლები, დაშვების წინაპირობები, კურსის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლებისა და შეფასების მეთოდები, ცოდნის შეფასების წესი, სასწავლო ლიტერატურის ჩამონათვალი, რომელიც შესაბამისობაშია ბიბლიოთეკაში არსებულ ლიტერატურასთან. როგორც პროგრამების, ასევე სილაბუსების მიხედვით სტუდენტთა შეფასება ზოგადად ხდება ორი შუალედური შეფასებით და დასკვნითი გამოცდით, რომელთათვისაც განსაზღვრულია ქულათა მაქსიმუმი.

1.2 რიგ პროგრამებში (ტოპოგრაფი, ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი, სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტის მეოთხე საფეხური,

ზეინკალ-სანტექნიკოსი, თაბაშირ-მუყაოს სპეციალისტი, ოფისის მენეჯერი, კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი) არაა მითითებული საწარმოო პრაქტიკის ობიექტი, თუმცა დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა საწარმოო პრაქტიკის ობიექტების ერთიანი ბაზა, სადაც პროგრამების მიხედვით ჩამოთვლილია ყველა ის ობიექტი, სადაც დაწესებულებას გაფორმებული აქვთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, თითო პროგრამაზე მინიმუმ 2 და მაქსიმუმ 10 საწარმოო პრაქტიკის ობიექტი. რიგ პროგრამებში არაა მითითებული პედაგოგთა კვალიფიკაციები და სამუშაო გამოცდილება (ტოპოგრაფი, ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი, სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტი მეოთხე საფეხური, შემდუღებელი, ბუღალტერი, ძრავის შემკეთებელი, ზეინკალ-სანტექნიკოსი, ოფისის მენეჯერი, კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი), თუმცა ვიზიტის პერიოდში გადამოწმების შედეგად დადასტურდა მასწავლებელთა შესაბამისი კვალიფიკაციები პირადი საქმეებით.

1.3 საზოგადოებრივი კოლეჯის ბაზაზე, ერთი პროფესიული სტანდარტის ჩარჩოებში ხორციელდება რამდენიმე - მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროგრამები. დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, პროგრამის მოცულობა შესაბამისობაშია პროფესიულ სტანდარტთან, სწავლის შედეგები, სწავლების მეთოდოლოგია და საფეხურის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციები. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).

1.4 სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები სამივე საფეხურზე მოიცავს ერთიდაიგივე სახელწოდების საგნების სწავლებას, თუმცა ეს სასწავლო კურსები სხვადასხვა შინაარსის თემატიკას და სხვადასხვა შედეგების მიღწევაზეა ორიენტირებული, მაგალითად: სასწავლო კურსის - ანალიზური ქიმია-თემატიკა საფეხურების მიხედვით მკაფიოდ განსხვავებულია, უმჯობესია სახელწოდებაშიც იქნას სხვაობა ასახული (მაგ.: ანალიზური ქიმია 1;2;3;). ასევე მეტი გააზრება ჭირდება საათების განაწილებას სასწავლო კურსის ფარგლებში, მაგ.: ანალიზური ქიმიის საათების განაწილებისას სასურველია გათვალისწინებული იქნას სასწავლო გეგმასა და სილაბუსშიც საათები ლაბორატორიული მეცადინეობისთვის, რადგან სწავლის შედეგებში სტუდენტმა უნდა შეძლოს „სურსათის შემადგენელი კომპონენტების ქიმიური მაჩვენებლების ფიზიკო-ქიმიური ანალიზის საკონტროლო გამზომი ხელსაწყოების გამოყენება“.

1.5 სილაბუსების ნაწილში ხშირად გვხვდება ტექნიკური ხასიათის უზუსტობები, კერძოდ:

- შეფასების მეთოდი და შეფასების ფორმა მოცემულია სწავლებისა და სწავლის მეთოდების პუნქტში. სტუდენტი ფასდება ორი შუალედური (30 კითხვა) და დასკვნითი გამოცდით(40 კითხვა), რაც გულისხმობს დახურულ ტესტებს (შუალედური თითოეული მაქსიმალური 30, დასკვნითი მაქსიმალური 40 ქულა) თითოეული სწორი პასუხი ფასდება ერთი ქულით.
- თვითშეფასების შემოტანის შემდეგ, მოხდა პროგრამების მოდიფიცირება/დამტკიცება, ბრძანებებით: №148. 21.07. 153.25.07. 156. 1.08.2014. და მითითებულია დანართების ნომრები, მაგრამ არაა დანართის ნომრები მითითებული პროგრამებსა და სილაბუსებში, ასევე, ბრძანებებში არაა მითითებული მოდიფიცირების განხორციელებისას წინა პროგრამების გაუქმება.
- ერთეულ სილაბუსებში შეფასების მეთოდები, ინსტრუმენტებისა და კრიტერიუმების განმარტება არ არის ნათლად გაწერილი და ასევე, არ არის მკაფიოდ განსაზღვრული შეფასების მინიმალური ქულა. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდშივე ეს უზუსტობა დაწესებულების წარმომადგენლების იქნა გააზრებული და აღმოფხვრილი.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

2.1 დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში მითითებული იყო 590 პროფესიული სტუდენტი 22 პროფესიულ პროგრამაზე. მათ შორის, 22 პროფესიულ პროგრამაზე 2013 წლის ოქტომბერში ჩარიცხულია 491 პროფესიული სტუდენტი (მათ შორის 7 - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი). აღნიშნული რაოდენობიდან, დღეისთვის 107 პროფესიულ სტუდენტს შეწყვეტილი აქვს სტუდენტის სტატუსი, 1 პროფესიული სტუდენტი გადასულია საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიაში", 3 პროფესიულ სტუდენტს შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი. 17 პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე 2014 წლის მაისში ჩარიცხულია 263 პროფესიული სტუდენტი (მათ შორის 2 - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი), 28 პროფესიულ სტუდენტს შეწყვეტილი აქვს სტუდენტის სტატუსი, ხოლო 24 პროფესიულ სტუდენტს - შეჩერებული. ვიზიტის პერიოდში, 2014 წლის 9 აგვისტოსთვის, კოლეჯში ირიცხებოდა 591 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულების დირექტორს დადებული ჰქონდა შრომითი ხელშეკრულება 51 მასწავლებელთან საქართველოს კანონმდებლობის დაცვით. შესაბამისად თანაფარდობა პროფესიულ სტუდენტსა და მასწავლებელს შორის არის 591/51.

დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ ის ტექნიკური უზუსტობები, რაც ექსპერტთა მხრიდან დაფიქსირდა, ადგილზევე იქნა გასწორებული. მან ასევე აღნიშნა, რომ 27 აგვისტოს კოლეჯმა დაასრულა საერთო საცხოვრებლისა და სასტუმროს მშენებლობის პროექტი. ლაბორატორიები აღჭურვილი იყო USAID-ის მიერ და კიდევ იგეგმებოდა 100 000 ევროს ღირებულების დანადგარების შესყიდვა. დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ სსსმ პირებისთვის პანდუსი უკვე ჰქონდათ და ლიფტის მშენებლობასაც იწყებდნენ ნორვეგიელების დაფინანსებით.

საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით მიმართა, თუ კეთდებოდა შეფასებისას აქცენტი განმავითარებელ შეფასებაზე და წაიკითხა ამონარიდი დასკვნიდან, რომელიც ეხებოდა აღნიშნულ კომპონენტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯს 101 კომპანიასთან ჰქონდათ გაფორმებული ხელშეკრულება. ექსპერტმა, ეკატერინე გიგაშვილმა განმარტა, რომ პროგრამებში ეს კომპონენტი კარგად არ იყო გაწერილი, თუმცა წარმოდგენილი იყო პრაქტიკის ობიექტების ბაზა.

ეკატერინე გიგაშვილმა ასევე განმარტა, რომ ექსპერტებმა იხილეს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები და აღნიშნეს, რომ კოლეჯი ახორციელებდა სომელიეს პროგრამას, რომელიც ერთადერთი იყო საქართველოში და იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი გადაწყვეტდა სხვაგან გადასვლას, მას შეეძლება მხოლოდ კოლეჯის ფარგლებში მოეხდინა ცვლილება.

საბჭოს წევრმა მაია ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებისთვის მხოლოდ კითხვარები არ იყო საკმარისი. ექსპერტი დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას და აღნიშნა, რომ დაწესებულება ამ მიმართულებით აგრძელებდა მუშაობდა.

მაია ჩიხლაძემ იკითხა, როგორ ყოფნიდა ბიბლიოთეკაში განთავსებული 3 მაგიდა ამდენ სტუდენტს. მაია ჩიხლაძის მოსაზრებით, უმჯობესი იყო, თუკი დაწესებულება ბიბლიოთეკაში გაზრდიდა მერხების რაოდენობას, რათა უფრო მეტ პროფესიულ სტუდენტს შეძლებოდა ბიბლიოთეკით ადგილზე სარგებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რესურსი აძლევდა საშუალებას, 1000 სტუდენტის მიღება უზრუნველეყო, მაგრამ მაქსიმუმის მოთხოვნა არ სურდა. ამ ეტაპზე 700 სტუდენტის მიღებას გეგმავდა, ხოლო არსებული სტუდენტების რაოდენობა 591-ს შეადგენდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლეჯს დაემატებოდა ფართი 2000 კვ.მ-ის ოდენობით. საერთო ჯამში, უკვე არსებული და მისაღები სტუდენტების გათვალისწინებით, დაწესებულება ითხოვდა, კონტიგენტი 1200 სტუდენტით განესაზღვრათ.

საბჭოს წევრმა, ლიანა ზამბახიძემ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში დაირღვეოდა პედაგოგების თანაფარდობა სტუდენტებთან, რადგან მასწავლებლების რაოდენობა შეადგენდა 51-ს. დაწესებულების წარმოამდგენელმა განმარტა, რომ სექტემბერში სავარაუდოდ 7 მასწავლებელს კიდევ აიყვანდა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მართალია ინფრასტრუქტურა იძლეოდა საშუალებას ამ კონტიგენტის დაკმაყოფილებისთვის, მაგრამ პედაგოგთა რაოდენობა არ იყო საკმარისი. ამის გამო, დადგა საკითხი კონტიგენტის გაზრდისა 1020-მდე, ხოლო როდესაც ადამიანური რესურსი დააკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნას, დაწესებულებას თავისუფლად შეეძლო შეეტანა ცენტრში კონტიგენტის გაზრდის მოთხოვნის განაცხადი. აღნიშნული პოზიცია გაიზიარა ავტორიზაციის ექსპერტმა ეკატერინე გიგაშვილმაც. ეკატერინე გიგაშვილმა აღნიშნა, რომ რესურსები გათვალისწინებით, დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 1020 პროფესიული სტუდენტისთვის.

ხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრის“ ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1020-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 208183605) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (საზოგადოებრივი კოლეჯი) სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1020-ით.

საბჭოს სხდომაზე 16:20 საათზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 17:33 საათზე.

9. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ეკატერინე გიგაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურა საკმაოდ მომხიბვლელი იყო და მენეჯმენტის დამოკიდებულებაც თანამშრომლობით ხასიათს ატარებდა.

ეკატერინე გიგაშვილმა განმარტა, რომ ადამიანური რესურსებისა და მატერიალური რესურსების სტანდარტი სრულად იყო დაკმაყოფილებული, პროგრამებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 34 პროგრამა წარმოდგენილია ცენტრის სარეკომენდაციო ფორმის მიხედვით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნაში მილევად რეჟიმში განსახორციელებელი პროგრამების გრაფაში ნაცვლად 10 პროგრამისა მითითებული იყო 9 პროგრამა. შესაბამისად, ეკატერინე გიგაშვილმა აღნიშნა, რომ მილევად რეჟიმში დაწესებულება ახორციელებდა 10 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. ასევე ერთიანი მიდგომის მიხედვით, დაწესებულებას ჰქონდა შეცვლილი კრედიტების რაოდენობა.

ეკატერინე გიგაშვილის განმარტებით, პროგრამებთან დაკავშირებით ექსპერტებს ჰქონდათ მხოლოდ ტექნიკური ტიპის შენიშვნები, კერძოდ:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 ოფისმენეჯერის მეოთხე საფეხურის პროგრამაში გამოტოვებული იყო შედეგის გრაფა, თუმცა შედეგი გაწერილი იყო სილაბუსში, ეს შენიშვნა ადგილზევე იქნა გასწორებული.

1.2 ასევე, საგნის დასახელება იყო განსხვავებული პროგრამასა და სილაბუსში - ერთგან ეწერა საქმიანი ურთერთობის კულტურა, მეორეგან კი - საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. ეს შენიშვნაც ვიზიტზევე იქნა გათვალისწინებული.

1.3 იგივენაირი უზუსტობა იყო სხვა საგნებშიც - ტანსაცმლის კონსტრუირების ნაცვლად ეწერა კონსტრუირება და საკერავი მანქანების ოპერატორის ნაცვლად საკერავი მანქანის ოპერატორი. ეს შენიშვნებიც იყო უკვე გასწორებული.

1.4 ექსპერტმა აღნიშნა, რომ ზოგან პრაქტიკული ნაწილი სასწავლო გეგმაში იყო ინტეგრირებული, რაზეც ექსპერტებმა დაწესებულებას რეკომენდაცია მისცეს განეცალკევებინათ.

საბჭოს თავმჯდომარე, ქეთევან ჯაყელი პედაგოგებისა და სტუდენტების რაოდენობით დაინტერესდა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას ჰყავდა 341 სტუდენტი და 75 პედაგოგი.

საბჭოს წევრმა მამია ჯანჯალიამ იკითხა, თუ რა რაოდენობის ფართს ფლობდა დაწესებულება. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არსებული შენობის ფართი შეადგენდა 3607 კვ.მ-ს, ასევე ჰქონდათ უფლება, ესარგებლათ რობაქიძის ქუჩაზე არსებული შენობით, რომელსაც სახელოსნოდ იყენებდნენ და მისი ფართი შეადგენდა - 3306 კვ.მ.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროფესიული პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 1000-ით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლა ორ ცვლაში განხორციელდებოდა და არსებული რესურსის გათვალისწინებით, მათ შეეძლოთ ამ რაოდენობის სტუდენტის მიღება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,მერმისის" ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,მერმისს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 209467646) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (საზოგადოებრივი კოლეჯი) სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000-ით.

10. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნონა ზუმბაძემ.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებას 4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ჰქონდა წარმოდგენილი, რომლებიც კოლეჯში ვიზიტისას, მიმდინარე ცვლილებების გამო, არ იყო დამტკიცებული ნორმატიული აქტით. აღნიშნული მიზეზის გამო, პროგრამები ადგილზე, ვიზიტის მსვლელობის დროს დამტკიცდა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას აღნიშნული პროგრამების სილაბუსები წესრიგში ჰქონდა და ექსპერტთა ჯგუფს არც დანარჩენ სტანდარტებთან დაკავშირებული ხარვეზები გამოუვლენია.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 ნონა ზუმბაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების კუთვნილ რამდენიმე შენობაში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა. დაწესებულებას ხელშეკრულებები ჰქონდა გაფორმებული ბაზებთან (10 ბაზა). ექსპერტმა საბჭოს მოახსენა, რომ დაწესებულებას ერთ-ერთ ბაზასთან ხელშეკრულება გაფორმებული არ ჰქონდა, რის შესახებაც დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ რეალურად, ხელშეკრულება გააჩნდათ და უბრალოდ მოწოდება ვერ მოხერხდა.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 დაწესებულებაში დასაქმებული 50 პედაგოგიდან 4 პედაგოგს კვალიფიკაცია არ უდასტურდებოდა. ამასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა ერთერთი თანამშრომლის, რომელსაც სფეროში საქმიანობის 3 წლის სტაჟი არ უდასტურდებოდა პუბლიკაციები და წიგნები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოცემული დოკუმენტაციით ნათლად ჩანდა აღნიშნული პედაგოგის კვალიფიკაცია და დამსახურება.

დაწესებულების დირექტორმა ჭიდაობის მწვრთნელის პედაგოგის სტაჟის შესახებ აღნიშნა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა, ლიკა გიორგაძემ განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დასაქმებულის პირად საქმეში აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი არ მოიპოვებოდა - წარმოდგენილი იყო მხოლოდ რეზიუმე (CV).

მორიგი პედაგოგის შესახებ დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული პირი იყო იაპონური საბრძოლო ხელოვნების (კარატე) სპორტული სახეობის ნაკრების მწვრთნელი, რასაც შესაბამისი ფედერაციაც ადასტურებდა ცნობით. საბჭოს წევრი, მამია ჯანჯალია დაინტერესდა საგნის სპეციფიკით, რომელიც აღნიშნულ პედაგოგს უნდა ესწავლებინა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საგანი ვიწრო სპეციალობისთვის იქნებოდა განკუთვნილი, არჩევითი სახე ექნებოდა და სტუდენტებს მწვრთნელის სპეციალობას შეასწავლდა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ფლობდა თუ არა დაწესებულება ცურვის შესწავლისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურას. პასუხად, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კოლეჯს საცურაო აუზის, კორტების და დარბაზების სარგებლობისთვის შესაბამის ბაზებთან ხელშეკრულებები ჰქონდა გაფორმებული.

კიდევ ერთი პედაგოგის შესახებ, რომელსაც დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობის სფეროს შესაბამისი კვალიფიკაცია ვერ უდასტურდებოდა, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი სხვა თანამშრომლით შეიცვალა, რომელიც აკმაყოფილებდა სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რომელი წლიდან ფუნქციონირებდა დაწესებულება. კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რომ დაწესებულება ფუნქციონირებდა 1933 წლიდან. დაწესებულების წარმომადგენლმა დამატებით განმარტა, რომ აღნიშნული დაწესებულება ერთადერთ პროფესიულ სპორტულ კოლეჯს წარმოადგენდა საქართველოში.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროფესიული პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 400-ით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში იგეგმებოდა პროფესიული პროგრამების დამატება და ამჯერად, პირველი ნაკადის ფარგლებში, დაწესებულება გეგმავდა 200 სტუდენტის მიღებას. დაწესებულების დირექტორმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ფუნქციონირებდა, რისი მიზეზიც ჯერ ხანძარი და შემდგომ კი - შენობის გასხვისება იყო. ამჟამად კი დაწესებულება გეგმავდა 4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭსყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელწიფო საზოგადოებრივ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202949159) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (საზოგადოებრივი კოლეჯი) სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.

11. ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ჰორიზონტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, პეტრე ბაბილუამ, რომელმაც აღნიშნა, რომ დაწესებულება ახორციელებდა 17 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და მათი დეტალური შესწავლის შედეგად არანაირი ხარვეზი ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა გამოვლენილი. პეტრე ბაბილუამ საბჭოს წევრებს მოახსენა იმ მცირე უზუსტობების შესახებ, რომლებიც დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდშივე გამოასწორა, კერძოდ:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 მცენარეთა დაცვის ტექნიკოსისა (მესამე საფეხური) და კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის (მესამე საფეხური) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შედეგების ცხრილიდან საწარმოო პრაქტიკის სილაბუსებში სრულყოფილად არ იყო გადატანილი სწავლის შედეგები;

1.2 სავალი ნაწილის ტექნიკოსისა (მესამე საფეხური) და სტილისტის (მესამე საფეხური) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში არ იყო მითითებული საწარმოო პრაქტიკის კვირეული დატვირთვა;

1.3 შემდუღებლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მესამე საფეხური) საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში არასწორად იყო მითითებული კრედიტების რაოდენობა. 10 კრედიტის ნაცვლად მითითებული იყო 6 კრედიტი;

1.4 მზარეულის (მეორე და მესამე საფეხური) და სტილისტის (მესამე საფეხური) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდად მითითებული იყო მხოლოდ პრეზენტაცია. სილაბუსებში შეფასების მეთოდებად, ასევე, მითითებული იყო პრაქტიკული დავალება, დემონსტრირება და დაკვირვება;

1.5 მეტყევის (მესამე საფეხური) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით სასწავლო კურსის სახელწოდებაა „მექანიზირებულ სა.ტექნოლოგია“, ხოლო სილაბუსის მიხედვით კურსის დასახელებაა „მექანიზირებულ სამუშაოთა ტექნოლოგია“.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით პეტრე ბაბილუამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას არანაირი პრობლემა არ ჰქონდა. ექსპერტის განმარტებით, პროფესიულ კოლეჯს გააჩნდა სპეციალური კლასები სადემონსტრაციო პროგრამებით, რომელთა ქმედითუნარიანობაც ვიზიტის დროს დადასტურდა. დაწესებულება ასევე ფლობდა სარესტორნო საქმის მართვის პროგრამას, გააჩნდა სპეციალური სამზარეულო ოთახი, ბიბლიოთეკაც შესაბამისობაში იყო დადგენილ სტანდარტებთან.

დაწესებულების წარმომადგენლის ცნობით, დაწესებულება იყენებდა 2154 კვ.მ სასწავლო ფართს, რომელიც 750 სტუდენტზე იყო გათვლილი. დაწესებულებას ჰყავდა 40 პედაგოგი და ავტორიზაციის მიღების შემდგომ სასწავლო პროცესი წარიმართებოდა ორ ცვლაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლეჯი გურიაში იყო ერთადერთი

პროფესიული სასწავლებელი და სურდათ, რაც შეიძლება მეტი პროფესიული სტუდენტი მოეზიდათ დაწესებულებაში.

საბჭოს წევრი, მაია ჩიხლაძე დაინტერესდა,რამდენად მოსახერხებელი იყო ოზურგეთის გარეთ მცხოვრები სტუდენტებისთვის დაწესებულებაში სიარული. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კოლეჯი ოზურგეთის ცენტრში მდებარეობდა, სადაც ყველა აუცილებელი პირობა იყო იმისთვის, რომ სტუდენტებს არ შექმნოდათ ხელმისაწვდომობის პრობლემა. სტუდენტების ნაწილი ოზურგეთში ნათესავებთან ბინავდებოდა, ნაწილი სოფლებიდან დადიოდა, ნაწილს კი რეგიონებიდან უწევდა კოლეჯში სიარული, რაც დასწრებასთან დაკავშირებით პრობლემას ქმნიდა, კერძოდ - სტუდენტი ვერ ახერხებდა 10 საათზე დაწესებულებაში გამოცხადებულიყო, მეორე ცვლაში კი უკან დაბრუნება უჭირდა. ამ მიზეზით, დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ კოლეჯი სამომავლოდ საერთო საცხოვრებლის აშენებას გეგმავდა, თუმცა ინიციატივის განხორციელება საკმაოდ სოლიდურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

საბჭოს წევრი, ლიანა ზამბახიძე დაინტერესდა, რეალურად, იყო თუ არა საკმარისი განათლების მიღების მსურველთა რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეგიონში ტურიზმის სფეროში იყო დასაქმების კარგი მაჩვენებელი, მრავლად იყო ტურისტული ზონები და მიმდინარე წელს რეგიონს სტუდენტების დიდი რაოდენობა სტუმრობდა. სოფლის მეურნეობის კუთხითაც განათლების საკითხი ასევე იყო აქტუალური, თუმცა, როგორც წარმომადგენელმა აღნიშნა, მაგალითად მცენარეთა დაცვის ტექნიკოსის სპეციალობაზე პროფესიული სტუდენტი არ გამოთქვამდა სწავლის სურვილს, თუკი დასაქმების პერსპექტივას ნათლად ვერ დაინახავდა.

საბჭოს წევრმა, ლიანა ზამბახიძემ წუხილი გამოთქვა იმის თაობაზე, რომ რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩაის კულტურის აღორძინებაზე არ ხდებოდა სათანადო ზრუნვა და პროფესიული დაწესებულებები ამ კუთხით პროგრამების შემუშავებაზე არ ფიქრობდნენ. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას და პასუხად აღნიშნა, რომ კოლეჯს ჩაის გადამამუშავებელ ობიექტთანაც ჰქონდა ხელშეკრულება გაფორმებული და ობიექტი ექსპერტებმაც დაათვალიერეს.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროფესიული პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 750-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭსყრაზე დააყენა ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ჰორიზონტის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 750-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ჰორიზონტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 237079497) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (პროფესიული კოლეჯი) სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 750-ით.

საბჭოს სხდომაზე 18:40 საათზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 19:05 საათზე.

12. ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ იკაროსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკა ლუაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს გამოვლინდა დაწესებულების მატერიალური ბაზის შესაბამისობა სწავლის შედეგებთან. დაწესებულებამ წარმოადგინა 20 საგანმანათლებლო პროგრამა, რომელთაგან, ექსპერტის განმარტებით, 10 ხორციელდებოდა მილევად რეჟიმში, დანარჩენ 10 პროგრამაზე კი დაწესებულება ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, მიიღებდა პროფესიულ სტუდენტებს. ეკა ლუაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას შენიშვნები სამივე სტანდარტთან მიმართებით დაფიქსირდა, თუმცა, მათი ხასიათიდან გამომდინარე, ვინაიდან იყო ტექნიკური ხასიათის, ექსპერტთა ჯგუფმა მათი ადგილზევე გამოსწორება მართებულად ჩათვალა და დაწესებულებამ გაასწორა ყველა შენიშვნა.

ეკა ლუაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო დასკვნაში არსებული შენიშვნები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 წარმოდგენილ სილაბუსებში შეფასების სისტემა განსაზღვრული იყო ორი სახით - შუალედური და დასკვნითი, შუალედური გამოცდით - 30-30 ქულა, ხოლო აღნიშნული 30 ქულის დეტალური ჩაშლა სილაბუსებით არ იყო განსაზღვრული (მა: რა შემთხვევაში იწერება „0"; „1"; „2" ქულა და ა.შ.). ასევე, არ იყო დასკვნითი გამოცდის 40 ქულის დეტალური ჩაშლა. ექსპერტთა მიერ დაწესებულებას განემარტა, რომ პროფესიული სტუდენტის მიღწევებისშეფასების გამჭვირვალედ რეალიზებისა და სწავლის შედეგებზე ეფექტურად გასვლისათვის აუცილებლობას წარმოადგენდა შეფასების სისტემა ყოფილიყო მრავალკომპონენტიანი, გამჭვირვალე და გათვალისწინებული ყოფილიყო თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკა. ექსპერტთა რეკომენდაცია დაწესებულების მიერ გაზიარებულ იქნა და გამოსწორდა ვიზიტის დროს;

1.2 პროგრამებში მითითებული იყო პროგრამის ხანგრძლივება, ასევე, სილაბუსებშიც კვირების და საათების მიხედვით იყო განსაზღვრული, თუმცა პროგრამებს არ ახლდა თან პროგრამის განხორციელების დინამიკის კვირეული სქემა, რომელიც ცხადს გახდიდა, თითოეული სასწავლო კურსი რა ხანგრძლივობით ისწავლება და მთლიანობაში რამდენია პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. აღნიშნული შენიშვნა გაზიარებულ იქნა დაწესებულების მიერ და გამოსწორდა ვიზიტის დროს;

1.3 პროგრამაში მითითებული სასწავლო კურსების დასახელებები რიგ შემთხვევაში არ იყო იდენტური სილაბუსში მითითებული დასახელებისა, რიგ შემთხვევაში სილაბუსის პირველ გვერდზე განსაზღვრული იყო სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა და მისი ექვივალენტი ასტრონომიული საათი, თუმცა შემდეგ გვერდებზე, სადაც კვირების მიხედვით იყო საათები გადანაწილებული, არ ემთხვეოდა ერთმანეთს (მექანიკური უზუსტობით იყო მიწერილი). დაფიქსირებული ტექნიკური ხასიათის შენიშვნები გაზიარებულ იქნა დაწესებულების მიერ და გამოსწორდა ვიზიტის დროს.

1.4 დაწესებულებამ პირველად ჩარიცხვებთან დაკავშირებით პროფესიული ტესტირების დებულება შემოიღო. ექსპერტმა აღნიშნა, რომ, როგორც დებულებით არის განსაზღვრული, დაწესებულებაში ჩარიცხვა წინაპირობების დაცვით ხორციელდება, თუმცა კონკრეტულად რას ითვალისწინებდა აღნიშნული წინაპირობები, განსაზღვრული არ ყოფილა. ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას ურჩია, შეძლებისდაგვარად, წინაპირობები სათანადოდ განესაზღვრათ და დაეფიქსირებინათ. სტუდენტების საფეხურიდან საფეხურზე გადაყვანასთან დაკავშირებით ექსპერტებს დაწესებულების მიმართ შენიშვნა არ ჰქონიათ.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 დაწესებულება საკუთარ მფლობელობაში არსებული ფართის ოპტიმალურად გამოყენებას რეაბილიტაციის დასრულების შემდგომ გეგმავდა. სტანდარტებთან მიმართებაში, ფართთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულებისადმი მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის შენიშვნები ჰქონდა.

2.2 შენიშვნები ასევე შეეხო მიმდინარე კორესპონდენციის აღრიცხვასა და გამოყენებას. დაწესებულება 2014 წლის მარტიდან ჩართულია e-flow-ს ქსელში, რომლის მეშვეობითაც ახორციელებს ბრძანებებისა და შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრაციას. ამასთან დაკავშირებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2012 წლის 29 დეკემბერს დამტკიცებული საქმისწარმოების წესის თანახმად, შემოსული/გასული კორესპონდენციები და ბრძანებები ექვემდებარება მატერიალურ რეგისტრაციას შესაბამის ჟურნალში, თუმცა, მას შემდეგ, რაც დაწესებულება 2014 წლის მარტიდან ჩაერთო e-flow-ში, აღარ ხდება აღნიშნული დოკუმენტაციის მატერიალურად რეგისტრაცია. ექსპერტთა მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, მოცემული ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, ძალადაკარგულად გამოეცხადებინა საქმისწარმოების ერთიანი წესების ის ნორმები, რომელიც სავალდებულოს ხდიდა შემოსული/გასული კორესპონდენციებისა და ბრძანებების მატერიალური/დოკუმენტური წესით რეგისტრაციას. აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულების მიერ გაზიარებულ იქნა ვიზიტის დროს.

2.3 სტრატეგიული განვითარების გეგმას რაც შეეხება, ხარვეზი დამტკიცების თარიღს შეეხებოდა, რომელიც შეცდომით იყო მითითებული და უზუსტობა ადგილზევე, ვიზიტის დროს გასწორდა.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 დაწესებულებამ პერსონალი 53 პროფესიული განათლების მასწავლებლით წარმოადგინა. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მიხედვით, პედაგოგების კვალიფიკაცია შეესაბამებოდა სტანდარტს და მოქმედ კანონმდებლობას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები არ იყო სათანადო წესით დამოწმებული, რასთან დაკავშირებითაც ვიზიტის დროსვე გაკეთდა მითითება. ხარვეზის გასწორება ვიზიტის ფარგლებში ვერ მოხერხდა.

3.2 ასევე აღინიშნა, რომ დასაქმებულებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში არსებითი პირობები არ იყო აღწერილი. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, პირობები შინაგანაწესით იყო გაწერილი, თუმცა, როგორც ექსპერტმა განაცხადა, პირად საქმეებში არ იყო წარმოდგენილი დასაქმებულების მიერ შინაგანაწესის გაცნობის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტი.

საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ ექსპერტს სთხოვა დაეზუსტებინა, თუ რა იგულისხმებოდა ხელშეკრულებაში წარმოსადგენ არსებით პირობებში. ექსპერტმა განმარტა, რომ არსებით პირობებში იგულისხმებოდა ყველა ის არსებითი პირობა, რომელიც გათვალისწინებული იყო შრომის კოდექსით.

საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით, ექსპერტმა დაწესებულებაში სტუდენტების მიმდინარე რაოდენობის შესახებაც აღნიშნა. ექსპერტის თქმით, კოლეჯში 354 სტუდენტი ირიცხებოდა; სტატუს შეჩერებული სტუდენტების რაოდენობა იყო 15, ხოლო სტატუს შეწყვეტილისა - 45 იყო. ექსპერტმა განმარტა, რომ დინამიკურობის გამო შესაძლოა

დაწესებულებას საბჭოს სხდომის მომენტისთვის სტუდენტების რაოდენობის კუთხით განსხვავებული მონაცემები ჰქონოდა.

საბჭოს წევრი, მამია ჯანჯალია სტატუს შეჩერებული სტუდენტებისთვის სტატუსის შეჩერების მიზეზებით დაინტერესდა. როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტებს სტატუსი პირადი განცხადების საფუძველზე შეუჩერდათ და განვლილი კრედიტების აღიარება და სტატუსის აღდგენა 2 წლის განმავლობაში იყო შესაძლებელი. საბჭოს წევრმა აღნიშნული საკითხი საყურადღებოდ და ზოგადად, მოსაგვარებლად ჩათვალა.

საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ პირად საქმეში წარმოდგენილი აქტების სათანადო წესით დამოწმების საკითხი არსებით შენიშვნას არ წარმოადგენდა, რადგან საქართველოს პრეზიდენტის 414-ე ბრძანებულების მიხედვით, დაწესებულებას შეეძლო საქმისწარმება განეხორციელებინა დადგენილი წესებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტმა განაცხადა, რომ საუბარი იყო აქტების წარმოებაში მიღებაზე - მისი განმარტებით, პრეზიდენტის ზემოთხსენებულ ბრძანებულებაში ამ საკითხზე საუბარი არ იყო. დაწესებულებას შეეძლო კანცელარიის ბეჭდით დაემოწმებინა დაუმოწმებელი დოკუმენტი, მაგრამ ვერ დაადასტურებდა იმ დოკუმენტის ნამდვილობას, რომელიც მას არ გაუცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა კოლეჯის სპეციალობებზე მაღალი მოთხოვნადობის შესახებ აღნიშნა და საბჭოს მოახსენა, რომ კოლეჯში საგანმანათლებლო პროცესი ორ ცვლაში მიმდინარეობდა, რაც დღის სხვადასხვა ნაწილში დაკავებული სტუდენტისთვის იყო მოსახერხებელი, ასევე, დაწესებულებაში ბევრი სხვადასხვა რესტორნისა და სასტუმროს წარმომადგენელი ასწავლიდა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროფესიული პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 800-ით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ფლობდა თუ არა დაწესებულება კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. დაწესებულებამ პასუხად განაცხადა, რომ პროფესიული სტუდენტების მხრიდან იყო გამოკვეთილი მოთხოვნა შემდეგ სპეციალობებზე - ბუღალტერია, თუმცა დამსაქმებლების მიერ მათი პრაქტიკაზე აყვანა ნაკლები რაოდენობით ხდებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭსყრაზე დააყენა ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ იკაროსის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ იკაროსს (საიდენტიფიკაციო კოდი: 211351071) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (პროფესიული კოლეჯი) სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით.

13. ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ განთიადის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა მაყვალა დარსანიამ, რომელმაც განაცხადა, რომ დაწესებულებას ჯამში 18 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ჰქონდა წარმოდგენილი. ექსპერტის თქმით, თითოეული პროგრამის წარმოდგენილი ინფორმაცია სრულ შესაბამისობაში იყო დადგენილ სტანდარტებთან. პროგრამების განხორციელების უფლება დაწესებულებამ 2011 წელს მოიპოვა და მათგან მხოლოდ რამდენიმემ განიცადა მოდიფიცირება. ექსპერთა ჯგუფის მიერ გამოვლენილი ხარვეზები ძირითადად ტექნიკური ხასიათის იყო და ადგილზევე, ვიზიტის დროს აღმოიფხვრა, კერძოდ:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 პროგრამებში არ ჰქონდათ მითითებული სტანდარტის მოთხოვნები, თუმცა დასაქმებულები სტანდარტის შესაბამის კვალიფიკაციას ფლობდნენ.

1.2 შეფასების სისტემას კრიტერიუმების მიხედვით დეტალიზაცია აკლდა, რაც ადგილზევე გასწორდა. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული ხარვეზი მხოლოდ ზოგიერთ სილაბუსში გამოვლინდა. ასევე, პროგრამით გაწერილი საათების რაოდენობა არ ემთხვეოდა საათების სილაბუსში მითითებულ რაოდენობას, რაც ასევე დაექვემდებარა ცვლილებას.

1.3 ექსპერტის თქმით, დაწესებულებას პროგრამის მიზნები ზოგადი სახით ჰქონდა წარმოდგენილი, რისი მეტად დაკონკრეტებაც მოხდა. ასევე, ერთ-ერთი პროგრამა 5 კვირაზე იყო გაწერილი, დღეში 6 საათით, თუმცა, სასწავლო გეგმაში 250 საათი იყო მითითებული. აღნიშნული ხარვეზიც ადგილზევე აღმოიფხვრა. ექსპერტის განმარტებით, აღმოჩენილი ხარვეზები დადგენილ პროფესიულ სტანდარტებთან წინააღმდეგობაში არ მოდიოდა.

1.4 ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, კონკურსის ჩატარების, კურსიდან კურსზე გადაყვანის და სტატუსის შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში შემდგომი სწავლით უზრუნველყოფის წესები, რისი ვიზიტის დროს გათვალისწინებაც ვერ მოხდა, თუმცა, ავტორიზაციის საბჭოს სხდომამდე დაწესებულებამ მოახერხა ხარვეზის გამოსწორება.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 დაწესებულების საერთო ფართს თვითშეფასების კითხვარის მიხედვით წარმოადგენდა - 1040 კვ.მ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ გორის სასწავლო ფართის დადგენა ვერ მოხერხდა. ვიზიტის დროს ფაქტობრივი მდგომარეობით დაწესებულება ფლობდა 12 კაბინეტს, ცალკეული ლაბორატორიები პირველ სართულზე იყო განთავსებული. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ბეხილის სასწავლო მიწის ნაკვეთების სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ინფორმაცია არ მოიპოვებოდა რეესტრის ბაზაშიც.

აღნიშნული გაურკვევლობა, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, განპირობებული იყო კოლეჯის იურიდიული სტატუსის ცვლილებით. მითითებული ნაკვეთი მიმდინარე წლის 18 ივლისს გორის სასწავლო უნივერსიტეტს გადაეცა. ვინაიდან

კოლეჯი ავტორიზაციის ვერ მიღების საფრთხის წინაშე იყო, სახელმწიფო განკარგულებით მას სარგებლობის უფლებით სასწავლო უნივერსიტეტის შენობის მე-2 სართული გადასცეს.

საბჭოს წევრი, ლიანა ზამბახიძე დაინტერესდა, რამდენად იყო ერთმანეთთან შესაბამისობაში ბიბლიოთეკის რესურსი და სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა. ექსპერტმა პასუხად აღნიშნა, რომ დაწესებულებას სილაბუსით გათვალისწინებული ყველა წიგნი გააჩნდა და ბიბლიოთეკა შთამბეჭდავი იყო თავისი რესურსით.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს არსებული ადმინისტრაციული ხარვეზების დროულად მოგვარებისკენ მოუწოდა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროფესიული პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 410-ით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ფლობდა თუ არა დაწესებულება კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. დაწესებულებამ პასუხად განაცხადა, რომ პროფესიული სტუდენტების მხრიდან იყო გამოკვეთილი მოთხოვნა შემდეგ სპეციალობებზე - ბუღალტერია, თუმცა დამსაქმებლების მიერ მათი პრაქტიკაზე აყვანა ნაკლები რაოდენობით ხდებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ განთიადის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 410-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ განთიადს (საიდენტიფიკაციო კოდი: 217890192) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (პროფესიული კოლეჯი) სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 410-ით.

14. ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ პრესტიჟის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ნანი დალაქიშვილმა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ კოლეჯის დამფუძნებლები ერთის მხრივ სახელმწიფო, მეორეს მხრივ კი საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი წარმოადგენდა.

ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ ვიზიტის დროს დაწესებულებამ ექსპერტებს წარმოუდგინა ხელშეკრულებები საწარმოო პრაქტიკის გავლის შესახებ, ასევე, ექსპერტთა ჯგუფს საწარმოო პრაქტიკის ბაზების მონახულების საშუალებაც მიეცათ და დარწმუნდნენ, რომ თანამშრომლობა შედგებოდა. ექსპერტები გაეცნენ დაწესებულების მიერ სამინისტროსადმი მიმართვას მატერიალური ბაზის რეაბილიტაციისთვის თანხის მოთხოვნის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულება აცხადებდა ტენდერს. ექსპერტის თქმით, დაწესებულება თავად განკარგავდა ხარჯებს და გააჩნდა რესურსი, რომ რემონტი თავადვე ჩაეტარებინა. დაწესებულება ასევე გეგმავდა სველი წერტილებისა და პანდუსის განახლებას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს დაწესებულებამ 17 პროფესიული პროგრამა წარმოადგინა. ექსპერტის თქმით, კოლეჯი ყველა სტანდარტს აკმაყოფილებდა. ნანი დალაქიშვილმა ხაზი გაუსვა მემორანდუმებისა და პრაქტიკული ობიექტების ჩამონათვალის მნიშვნელოვნებას. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დამსაქმებლებსაც და დარწმუნდა შეთანხმებების რეალურობაში.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ რძის გადამმუშავებლის მოდულარული პროგრამა გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში იქნა შემუშავებული. ექსპერტმა დაადასტურა, რომ კოლეჯის ბაზაზე მიმდინარობდა, როგორც სასწავლო, ასევე საწარმო პრაქტიკა.

საბჭოს თავმჯდომარე დაწესებულებაში აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობით დაინტერესდა. ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებაში 307 აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი ირიცხებოდა. დაწესებულებას ჰყავდა 34 პროფესიული მასწავლებელი, რომელთა კვალიფიკაციები შეესაბამებოდა დადგენილ სტანდარტებს.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებთან საუბრის შემდგომ დადგინდა, რომ დაწესებულებას ახალი სასწავლო წლისთვის 294 სტუდენტის მიღება სურდა და კვოტის გაზრდას 700 სტუდენტამდე აპირებდა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების საერთო სასწავლო ფართი 3800 კვ.მ-ს შეადგენდა. სასწავლო ბაზა აკმაყოფილებდა სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხვნებს, შესაბამისი ბაზის არ ფლობის შემთხვევებში კი უზრუნველყოფა მემორანდუმის საფუძველზე მოხდებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დროთა განმავლობაში მოთხოვნად სპეციალობებად სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო მიმართულებები გამოიკვეთა. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით გამოცხადებული იყო ტენდერი, ასევე, მზადდებოდა პროექტი დაწესებულების გათბობით უზრუნველყოფის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების შენობა-ნაგებობის ფართის იჯარის ხანგრძლივობით. კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იჯარა 5 წლით ჰქონდათ გაფორმებული. მისივე თქმით, დაწესებულება იჯარი საფასურს - სიმბოლურ 50 ლარს იხდიდა, მაგრამ სამინისტროს მხრიდან 300 000 ლარის ინვესტიციის განხორციელება იყო დაგეგმილი.

საბჭოს წევრი, მამია ჯანჯალია დაინტერესდა, თუ რამდენი პროფესიული სტუდენტი იქნებოდა ერთ ჯგუფში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თითო ჯგუფი 10-20 პროფესიული სტუდენტით კომპლექტდებოდა და ამასთან, დაწესებულებაში 34 კვალიფიციური პედაგოგი იყო დასაქმებული.

საბჭოს წევრის, ნიკა ჩაჩხიანი დაინტერესდა, თუ რამდენი პროფესიულის ტუდენტი ირიცხებოდა სასტუმროს საქმისმწარმოებლის პროფესიულ პროგრამაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე ირიცხებოდა 20 პროფესიული სტუდენტი. ექსპერტთა ჯგფის წარმომადგენელმა, ნანი დალაქიშვილმა დამატებით განაცხადა, რომ დაწესებულებას 9 კომპანიასთან, მათ შორის, ლოპოტასა და ყვარლის ტბაზე არსებულ სასტუმრო კომპლექსებთან გაფორმებული ჰქოდა მემორანდუმები. სასტუმროებს გააჩნდათ როგორც სპორტული, ისე საკონფერენციო დარბაზები.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროფესიული პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 700-ით. მოცემულ შემთხვევაში დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კოლეჯში სწავლა განხორციელდებოდა ორ ცვლაში. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო შეეძლო შეექმნა 680 პროფესიული სტუდენტისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭსყრაზე დააყენა ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ პრესტიჟის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 680-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ პრესტიჟს (საიდენტიფიკაციო კოდი: 231287005) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (პროფესიული კოლეჯი) სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 680-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, 21:00 საათზე, სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე:
ქეთევან ჯაყელი

მდივანი:
ლიანა ზამბახიძე